დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ვერა ყურულაშვილი**

წევრები:

ნიკა უთალიშვილი
ეკატერინე მიქაუტაძე
დავით ჩივაძე
გიორგი ნებიერიძე
სოფიო გელაშვილი
ლილი კაცაძე
ნინო ჯახველაძე
ნათია ორმოცაძე
გიორგი კოპლატაძე
ნათია კოხოძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211351758

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ.
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi17@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032) 2 59 49 17

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	NMES 5 26 0000129785 06.02.2026 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წ. 5-6 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ. 1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ. 1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ. 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის ეროვნული მიზნების მოთხოვნებიდან. სკოლის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნეს, რაზეც მიუთითეს საგნობრივმა ექსპერტებმა,თუმცა ექსპეტებს აქვთ გარკვეული რჩევები . სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს სრული მზაობა 2025-2026 სასწავლო წლის დასრულებამდე დაასრულონ საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა რჩევების გათვალისწინებით, მოხდეს სასკოლო კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი ექსპერტები სრულად იყვნენ ჩართული საგნობრივი კურიკულუმის შეფასების პროცესში როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის პროცესში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: --1000----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაწყებით საფეხურზე საგანებში „მე და საზოგადოება“ და სპორტი შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციი მასწავლებლები (27.03 2026- 15.09. 2026 წ.)*
ინდიკატორი N 3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვისშესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეწყოს სსსმ მოსწავლისთვის გადაადგილების მექანიზმი (პანდუსი ან ლიფტი)* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და აღჭურვოს შესაბამისი რესურსებით. (09.09.2026- 30.04.2026 წ.)*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	რაოდენობის გათვალისწინებით	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა 1:** დაწყებითი საფეხური; სასურველია, განახლდეს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში (დანართი N9) სწავლის შედეგები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისთვის გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განსხვავებულ ფორმულირების გარეშე. **რჩევა 2:** საშუალო საფეხური; არჩევითი საგნის ქიმიური ტექნოლოგიების კურიკულუმი მე–11 და მე–12 კლასისთვის იდენტურია. სასურველია, რომ კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს გაწერილი სასწავლო თემები ცალკე მე–11 კლასისთვის და ცალკე მე–12 კლასისთვის. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **სახელმწიფო ენა** **რჩევა 1:** სასურველია, თუ საგნობრივი კურიკულუმები იქნება ერთნაირი სტრუქტურის ყველა კლასისთვის, მაგალითად, კონტექსტ-მაგალითების სვეტში არ უნდა იყოს აღრეული ერთმანეთში საკითხები, ქვეცნებები და კონტექსტ-

		მაგალითები, კარგი იქნება თუ თითოეულ მათგანს საკუთარი ადგილი ექნება ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **რჩევა 2:** სასურველია, თუ თითოეული კლასისთვის კათედრა შეიმუშავებს უფრო მეტ მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა 1:** დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სასურველია უფრო ყურადღებით შეირჩეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები შემოქმედებით დავალებასთან მიმართებით. **რჩევა 2:** საბაზო საფეხურის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მერვე კლასის კურიკულუმებში, ზოგიერთ თემაში სამიზნე ცნებების ფორმულირება ნაწილობრივ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს, სასურველია გადაიხედოს და გასწორდეს სტანდარტის შესაბამისად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების III და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად,განსხვავებული ფორმულირების გარეშე. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა 1:** სასურველია, კურიკულუმებში განისაზღვროს სავალდებულო თემებისათვის განკუთვნილი საგაკვეთილო საათების რაოდენობა, მოხდეს დასამუშავებელი საკითხების სემესტრული განაწილება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა).

		რჩევა 2: საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, სასურველია, თითოეულ თემაში სრულად გაიწეროს ყველა სამიზნე ცნება და განისაზღვროს მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ბუნების დავალება (საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). ***სახელმწიფო ენა*** **რჩევა 1:** სახელმწიფო ენის კათედრამ პირველ და მეორე კლასებში უნდა შეიმუშაოს ისეთი შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გააქტიურებს სამიზნე ცნება გრამატიკას. **რჩევა 2:** სასურველია, თუ მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ქვეცნებები დაკონკრეტდება იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი მუშავდება ამა თუ იმ შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით. **რჩევა 3:** სასურველია, თუ სახელმწიფო ენის კათედრა მეხუთე და მეექვსე კლასებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების გაწერისას იხელმძღვანელებს დაწყებითი საფეხურის სტანდარტით, **რჩევა 4:** სასურველია, თუ მეცხრე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ზოგიერთი ქვეცნება (რომელიც არ გვხვდება სახელმწიფო ენის სტანდარტში) შეიცვლება და დაკონკრეტდება საბაზო საფეხურის სტანდარტის გათვალისწინებით. **რჩევა 5:** სასურველია, თუ სახელმწიფო ენის კათედრა, მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს შეასწორებ საშუალო საფეხურის სტანდარტის მიხედვით. **უცხოური ენები**

		სასურველია სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში გაიზარდოს შემოქმედებითი ხასიათის დავალებების წილი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მაღალი დონის აზროვნებითი უნარების განვითარებას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, ქართული ენის საგანში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და დაკონკრეტდეს ქვეცნებები.
ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია კათედრამ ორივე საგანში და სამივე საფეხურზე, სამომავლოდ შეარჩიოს უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი. მაგ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დამატებითი დამხმარე რესურსი ძალიან მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა 1:** სასურველია ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა; **რჩევა 2:** სასურველია, სკოლაში არსებული რესურსების შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ბუნებისმეტყველება) და საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში გაწერილი იყოს სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდების რესურსები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სასურველია, სკოლამ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა საგნობრივ კურიკულუმში ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა).
ინდიკატორი N 2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, სამომავლოდ, კათედრამ შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობები და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სკოლამ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, კონკრეტული სასწავლო თემის კონტექსტში უზრუნველყოს ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე / ცნებებზე მორგებული დავალებების მრავალფეროვნება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **სახელმწიფო ენა** სასურველია, თუ სახელმწიფო ენის კათედრა კურიკულუმების ჩარჩოებშიც შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს სწავლების სამივე საფეხურზე.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური სასურველია, თუ დაწყებითის კათედრა კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს მიზნებსა და ამოცანებს*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია შეფასების რუბრიკები გაიწეროს კონკრეტული დავალებისთვის და ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); სასურველია საგნობრივი სადიაგნოსტიკო წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სკოლამ ჩამოაყალიბოს უნიფიცირებული მიდგომა საზოგადოებრივ მეცნიერებებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). ***სახელმწიფო ენა*** **რჩევა 1:** სასურველია, თუ სახელმწიფო ენის კათედრა შექმნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთ რუბრიკებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული აქტივობების შეფასებაზე და მათში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები ურთიერთმიმართებაში იქნება შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებთან. **რჩევა 2:** სასურველია, თუ კათედრა შეიმუშავებს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს, რითაც განსაზღვრავს მოსწავლეთა განვითარების დონეს და

		გამოვლენილი შედეგების მიხედვით დაგეგმავს შემდგომ განსახორციელებელ აქტივობებს. **უცხოური ენები** სამივე საფეხურზე, მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უმჯობესია მკაფიოდ იყოს ნაჩვენები საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, რაც სრულად აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს სასწავლო გეგმის საგნობრივ შედეგებთან მიმართებით **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა 1:** სასურველია, თუ კათედრა შეიმუშავებს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს **რჩევა 2:** სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	**ესთეტიკური აღზრდა** სამომავლოდ სასურველია, თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, საგანთაშორის ინტეგრაცია. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში განხორციელდეს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და რეალური ექსპერიმენტების ჩატარება.(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	**ესთეტიკური აღზრდა** მნიშვნელოვანია, სამომავლოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის საგნების შეფასების რუბრიკებში სამივე საფეხურზე, უფრო თვალნათლივ დეტალურად იყოს განსაზღვრული თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათლელი იყოს შეფასების კავშირი საფეხურის შედეგებთან და საგნობრივ კურიკულუმში წამოდგენილ სასწავლო მიზნებთან. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი და კრიტერიუმების მკაფიო ფორმულირება, რაც გააძლიერებს შეფასების ობიექტურობას და გამჭვირვალობას. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). **სახელმწიფო ენა** სასურველია, რომ კათედრამ მოამზადოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც წარმოდგენილი კრიტერიუმები კონკრეტული და გასაგები იქნება მოსწავლისთვის და ამავე დროს ნათლად წარმოჩნდება კავშირი საფეხურის შედეგებთან.
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში სახელმძღვანელო მითითებული იყოს სრულყოფილად, დასახელების, ავტორების, გამომცემლობების, გამოცემის წლის მითითებით. ბიოლოგიის მე–12 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს დამხმარე მასალა.

ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, რომლის საფუძველზეც (განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით) მოხდება საზოგადოებრივ მეცნიერებებში დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა).
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს მცირე ფართს ლაბორატორიული ინვენტარის და რესურსებისთვის. თუმცა, ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით სკოლამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, აქვს წერილობითი მიმართვა შესაბამის სტრუქტურებთან და შესაბამისობის გეგმით (09/03/2026- 30/04/2026 წ.) გათვალისწინებულია ლაბორატორიული რესურსების განახლება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა. კერძოდ, 3.1.2.4. ინდიკატორი - სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების მიღებას 2026 წლის 15 სექტემბრამდე. 3.5.1.1. ინდიკატორი - სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას და აღჭურვას 2026 წლის 30 აპრილამდე. აღსანიშნავია, რომ ამავე ინდიკატორში აღნიშნული ხარვეზი პანდუსის ან ლიფტის მოწყობის შესახებ არ არის აღწერილი შესაბამისობის გეგმაში. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ასევე პასუხისმგებელი პირები და ის რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სკოლას აქვს შემუშავებული მისია და ხედვა, რომლებიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის ძირითადი დანიშნულებაა აღზარდოს XXI საუკუნის უნარებით აღჭურვილი თანამედროვე ლიდერი მოქალაქეები. სკოლის მიზანია ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში შესძინოს მოსწავლეებს თვითრეალიზაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომელიც მათი ცხოვრების ინტეგრირებაში დიდ როლს შეასრულებს. ხედვა კი ეფუძნება პრინციპს, რომ სკოლაში იყოს მუდმივ განათლებაზე ორიენტირებული, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული, შედეგებზე ფოკუსირებული სასწავლო პროცესი. ასევე შექმნას მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობების, პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზების საშუალება. სკოლის მთავარი ამოცანაა ყველა მოსწავლე თანაბრად მოამზადოს მომავალი ცხობრებისთვისა და ინტეგრაციისთვის. შესაბამისად ზემოაღნიშნული დოკუმენტები სულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

   - მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისათვის ზრუნვა;
   - სიახლის შეცნობისაკენ მიმართული, განათლებული, კომუნიკაბელური მოქალაქის ჩამოყალიბება;
   - ისეთი ახალგაზრდის აღზრდა, რომელთაც ექნებათ სურვილი და უნარი, აქტიურად და შემოქმედებითად ჩაებან მათ გარშემო არსებული სამყაროს განვითარების პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ ქალაქ თბილისის N 17 საჯარო სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

პროცესების ცენტრში მოქცეულია მოსწავლე, დასაქმებულები და მშობლები. სკოლა ცდილობს, შექმნას ისეთი გარემო, რომელიც თანაბარ პირობებს ქმნის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის განვითარებისათვის. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად სკოლაში მუშაობს მანდატურის სამსახური, ექიმი, შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რეგულარულად იკრიბება მრჩეველთა საბჭო. სკოლის შესასვლელებთან, სართულებზე გამოყოფილნი არიან მორიგე მასწავლებლები. თითოეული დასაქმებულის ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებსა და შინაგანაწესში, რომელსაც ეცნობიან და აწერენ ხელს სკოლის თანამშრომლები. სკოლის შინაგანაწესი ატვირთულია სკოლის პორტალზე, გამოკრულია სკოლის ფოიეშიც. საჭიროების შემთხვევაში მანდატურის სამსახური ახორციელებს მოსწავლეთა რეფერირებას, ფსიქოლოგიურ თუ სოციალური მუშაკის მომსახურებას. სკოლის მისიით დასახული ამოცანების შესრულებისათვის სკოლა, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე ატარებს არაერთ ღონისძიებას, მაგალითად, „სამოქალაქო განათლების“ კლუბის აქტივობები, რომლებიც ერთი მხრივ ავითარებს მოსწავლის როგორც აკადემიურ, ასევე შემოქმედებით უნარებს, მოსწავლეებში აძლიერებს თავდაჯერებულობის განცდას, აძლევს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას. სკოლაში ტრადიციულად ტარდება: შემოდგომის ფესტივალი, მოსწავლეთა ნახატების პერსონალური გამოფენები. დაწყებითი კლასის მოსწავლეები სტუმრობენ მოზარდ-მაყურებელთა თეატრს, ციფრულ მუზეუმს, თოჯინების თეატრს. მე-3 და მე-4 კლასელები სტუმრად იყვნენ შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში 112-ში. მე-10 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის პროგრამაში ,,საქართველო და ევროკავშირი“,სადაც დეტალურად გაეცნენ ევროკავშირის მნიშვნელობასა და საჭიროებას საქართველოს სახელმწიფოსათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების ჩამოყალიბება არის სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობა. ამ პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის N2-137/2 ბრძანების შესაბამისად , შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც განსაზღვრულ ვადაში დაევალა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) პროექტის შემუშავება. მათ მიერ შედგენილი კითხვარის საშუალებით მოხდა სრულად სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დამუშავდა მონაცემები, გაკეთდა SWOT ანალიზი. ანალიზის

საფუძველზე შეიქმნა სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების პროექტი, რომელიც მკაფიოდ გამოყოფს დაწესებულების იმ მთავარ მახასიათებელსა და კონკრეტულ, მკაფიო მიზანს, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მთავარ საქმიანობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს იცნობენ და იზიარებენ პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნული დოკუმენტები ასევე გაზიარებულია სოც. მედია გვერდზე, ელექტრონულ პორტალზე, გამოკრულია სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს შეხვედრას სასკოლო საზოგადოებასთან და აცნობს მათ სკოლის ფილოსიფიას, ასევე იზიარებს მათ შეხედულებებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლას გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას. გაზიარებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტი ყოველი სასწავლო წლის დაწყებისთანავე დამრიგებლების მიერ ეცნობა მშობლებს კრებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებაა - სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის N171/ნ ბრძანებით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ"- დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N-2-137/1 (სსიპ - ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ);
- 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025 წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N-6;
- 2024 წლის 12 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N-7;
- 2024 წლის 12 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N-12;
- 2024 წლის 3 სექტემბრის N-2-137/2 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- 2024 წლის 11 სექტემბრის „სსიპ - ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N-1;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის კითხვარები;
- 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანება N-2-28 (უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის SWOT ანალიზი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის ვებ-გვერდის ლინკი -სკოლის ფილოსოფია (ვებ-გვერდი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 12 სექტემბრის N12 სხდომაზე. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართულ მხარეთა პრიორიტეტებსა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლის ხედვისა და მისიის შესაბამისად, შემუშავებულია ასევე სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, რომლის შეცვლა და გადასინჯვა ხორციელდება მონაცემების და მტკიცებულებების მოგროვების და გამოყენების საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმს, იგი არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის N13 სხდომის ოქმით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2024-2031 წლები) სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა გამომდინარეობს ზოგადი განათლების პრინციპებიდან, სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო გეგმა, მიზნების მიღწევის გზები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები და საშუალებები. შვიდწლიანი განვითარების გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს შვიდწლიან პერიოდზე. კერძოდ: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, ჯანმრთელობა და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლაში შემუშავებული იყო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის ერთწლიანი გეგმა (2025-2026 წლის) დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 10 სექტემბრის N-10 სხდომის ოქმით და განხილული 2025 წლის 8 სექტემბრის N-6 სხდომის ოქმით პედაგოგიურ საბჭოზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სამოქმედო გეგმას, მაგრამ მასში არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიმართულებები. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა,ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაეფუძნოს სტრატეგიულ გეგმას.სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დაზუსტებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიან და შვიდწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია სკოლის მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ორგანოები და შესრულების ვადები. რომლის შეფასება და ანალიზი გაკეთდება სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილი აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 13 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N-13 სხდომის ოქმი, საკითხი N-1, სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
- 2025 წლის 10 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N-10 სხდომის ოქმით დამტკიცებული სკოლის ერთწლიანი გეგმა (2025-2026 წელი)
- 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N-2-137/1 (სსიპ - ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის 2024-2031 წლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2024 წლის 3 სექტემბრის N-2-137/2 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- ვიზიტის პერიოდში შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით. სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.

მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი საჯაროა. სკოლა მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭირვალობას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით სკოლამ განსაზღვრა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისთვის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა, სკოლის facebook გვერდი, მშობელთა კრებები. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდება სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში განხილულია სამომავლო გამოწვევები და განსახორციელებელი ნაბიჯები. შესრულების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დანერგვა ემსახურება სკოლის საჭიროებების სისტემატურ დადგენასა და სამომავლო განვითარებას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით შედგა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასების გადახედვის განხორციელება იგეგმება ყოველწლიურად. მას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს,დასკვნებს გაითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N-2-137/1 სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N-6;
- 2025-2026 სასწავლო წლის 8 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-16. დირექტორის ანგარიში;
- 2025-2026 სასწავლო წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N-6. საკითხი N-3. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანების მეორე თავით, კერძოდ, სკოლის სტრუქტურა მოიცავს

პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. აღნიშნული ბრძანებით დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფერო და ფუნქცია-მოვალეობები.ასევე სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კარედრა:

-სახელმწიფო ენის;

-ზუსტი მეცნიერებების და ტექნოლოგიების;

-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;

-საზოგადოებრივი მეცნიერებების;

-სპორტისა და ესთეტიკური საგნების;

-უცხოური ენების;

-დაწყებითი კლასების მასწავლებლების.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულია შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. დაწყვწბითი კლასების მასწავლებელთა კათედრაზე გაერთიანებულია დაწყებითი კლასების ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები.
რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ პირებს, სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებული (2025 წლის 25 თებერვლის N-2-22 ბრძანების საფუძველზე) აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლას დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N-2-28 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება", სადაც დეტალურად არის გაწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომელთა კონკრეტული პოზიციების უფლებამოსილებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. სკოლის პერსონალი მოიცავს: დირექციას, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, განათლების სპეციალისტებს, იმ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კოლეგიალური ურთიერთობების განვითარებაზე. .სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები , ძირითადად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. ამასთან ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, იკვეთება, რომ სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად გადანაწილებით, აღნიშნულ დოკუმენტში ძირითადი მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი

ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი მოიაზრებს ფუნქციათა გადანაწილებისა და ეფექტური საქმიანობის ხელშემწყობ ფაქტორებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- 2025 წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N-6. წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- 2025 წლის 8 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-9. წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- 2025 წლის 29 დეკემბრის N-2-332 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 2025 წლის 28 თებერვლის N-2-28 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება";
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის განხორციელებული პროექტების დოკუმენტაცია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლამ მოქმედი კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიმუშავა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N-17 სხდომის ოქმით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა სკოლოს დირექციის მიერ და პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები და შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების

ეფექტიანობა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა შედეგების მიღწევა. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურგამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლა ახორციელებს დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მის განვითარებას. სკოლა ჩართულია და მუდმივად ხელს უწყობს დასაქმებულის პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: მაგ. ტრენინგი, სწავლება, დასაქმებულს უქმნის იმგვარ გარემოს, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია. დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს
და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია - საქაღალდეებში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომლის მიხედვითაც ხდება პროცესის წარმართვა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი აქტივობების ორგანიზება. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. უფრო კონკრეტულად კი, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა ხორციელდება ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს? რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე? სკოლა მუდმივად ჩართულია პერსონალის მხარდაჭერაში, მუდმივად გეგმავს საჭიროებებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს. ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით, დასაქმებულთათვის

საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით, იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. გამართული შიდა კომუნიკაცია ხელს უწყობს ძლიერი კულტურის ფორმირებას სკოლაში. ის უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ძლიერი კავშირების ჩამოყალიბებას, ეფექტურ კოორდინაციას, ანგარიშვალდებულებას, ერთიანი ხედვის ფორმირებას, ასევე, ბიძგს აძლევს შიდა დისკუსიასა და კონსენსუსს. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები. ხარისხის ინდიკატორია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება და ჯეროვნად ასრულებენ სკოლაში დასაქმებული პირები დაკისრებულ ვალდებულებებს; სასკოლო საზოგადოება, დასაქმებული პერსონალი თანაბრად იზიარებს პასუხისმგებლობას, თითოეული დასაქმებული ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორის წინაშე, რათა ინფორმირებულ იყოს ამა თუ იმ საკითხზე და დაგეგმოს სხვადასხვა ღონისძიებები და შესაბამისი ქმედითი პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას. თანამშრომელთა სკოლაში მიღების, შრომითი ურთიერთობის პირობებისა და გათავისუფლების წესი დადგენილია სკოლის შინაგანაწესით. გათავისუფლების წესები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით. მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში მიღება, კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობებიდან გამომდინარე, რეგულირდება ცალკე შემუშავებული დოკუმენტის „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია: კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის პრინციპები, კონკურსის გამოცხადება, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების წარდგენა, კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრება. მასწავლებელთა ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით, განცხადებების გავრცელება/გამოქვეყნება ხდება https://teache rjobs.ge/92613. თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესები დეტალურად განსაზღვრულია შინაგანაწესით. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. შრომის კოდექსით დადგენილი წესით, სკოლა დასაქმებულს აცნობს შინაგანაწესს, ასევე, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. გამოცხადებული კონკურსის მასალებით დასტურდება, რომ ხდება

პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება , ხოლო კონკურსის ეტაპზე პროცედურები მიმდინარეობს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, რაც დასტურდება შეფასების დოკუმენტებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 43 თანამრომელი, აქედან 26 მასწავლებელია. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლას ჰყავს 20 უფროსი , 5 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებელი. კონკურსის წესის თანახმად სკოლაში ასევე დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, რომლებიც ემსახურებიან 16 სსსმ პირს. სკოლას აქვს შემუშავებული "პედაგოგის, თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესი". სადაც გაწერილია კვალიფიკაციის შესახებ მოთხოვნები. ამას ადასტურებს დირექტორის ბრძანება, სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწყებით საფეხურზე საგანს „მე და საზოგადოება" ასწავლიან დაწყებითი საგნის მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩაბარებული გამოცდა ამ საგანში.ასევე დაწყებით საფეხურზე სპორტს ასწავლის სამი მასწავლებელი, რომელსაც ამ საგანში არ აქვს ჩაბარებული გამოცდა. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა, სიტუაციის გამოსწორების. განაცხადა, რომ კადრი ვერ შეირჩა წინა ვაკანსიის დროს და სკოლა აღნიშნულ პოზიციაზე ისევ გამოაცხადებს ვაკანსიას.

პერსონალის შერჩევის და დანიშვნის დოკუმენტში, გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული პერსონალის შერჩევის და დანიშვნის სრული მექანიზმი და კონკრეტულ პოზიციაზე მიბმული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.(პერსონალის მიღება/შერჩევის წესი .სამსახურში მიღების წესიხორციელდება კანონის, სკოლის შინაგანაწესის და სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის" დოკუმენტის შესაბამისად .

საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. გაჰყავს მეორე ეტაპზე- გასაუბრება და შემდეგ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. სკოლაში განსაზღვრულია საადაპციო პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში, დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო დოკუმენტაციას, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო საზოგადოებასთან.სკოლას მიეცა რეკომენდაცია საგნებში „მე და საზოგადოება „ და „სპორტი" დაწყებით საფეხურზე შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები. სკოლას აქვს დაგეგმილი ინდიკატორი მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში 27.03 2026-დან -15.09.2026 წლამდე.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც თითოეული მასწავლებელი იზიარებს არის გუნდურობა. სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და სხვა. აღსანიშნავია მასწავლებლებისა და სკოლის გუნდის ჩართულობა უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემებში სკოლის, ქვეყნის თუ საერთაშორისო დონეზე. სასკოლო საზოგადოებაში დირექტორი ერთპიროვნულად ავტონომიურად არ ახორციელებს სკოლის მართვას. სკოლის მართვაში ჩართულია ყველა რგოლი, საბჭოები, თამშრომლები, მასწავლებლები და სხვა. დელეგირებულია ცალკეული უფლება-მოსილებები თანამშრომლებზე. ორგანიზაციის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სკოლაში დამკვიდრებულია კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა. შექმნილია პირობები მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად. ყველას აქვს განცდა, რომ შეუძლია საკუთარ საქმეში და სკოლის განვითარებაში განუმეორებელი წვლილი შეიტანოს. ყოველივე აღნიშნულის წახალისებას კი სკოლა ცდილობს, საპატიო სიგელის გადაცემით, მადლობის გამოცხადებით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შექმნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში წარმატებით ხორციელდება გამოცდილების გაზიარება ურთიერთდასწრების გზით. მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. ასევე. მასწავლებლების გუნდური ორგანიზებით ხორციელდება პროექტები, კერძოდ: პროექტი ისტორიაში „მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელი“; პროექტი -„ახალი წელი ყველასთან მოდის“; პროექტი - „ჩემი სახლის საყვარელი ბინადრები“; პროექტი - „ქალები წარსულიდან“. უამრავმა ერთობლვად განხორციელებულმა პროექტმა, კვირეულმა და ღონისძიებამ ხელი შეუწყო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან ერთად სკოლის განვითარებას, კოლეგებს შორის თანამშრომლობას. ნამდვილი თანამშრომლობის პირობებში კომუნიკაცია მხოლოდ შეხვედრების დონეზე არ ხდებოდა და იგი გრძელდება საკლასო ოთახებსა და სამუშაო სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება N-1კ-23 „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- 2020 წლის 21 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს N-17 სხდომის ოქმი, რომლითაც დამტკიცდა სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-38 კათედრების დებულების დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N-2-138/1 „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შევსების კონკურსის მასალა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის განცხადება ღია კონკურსის შესახებ ვებგვერდზე: https://teacherjobs.ge/92613
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის განხორციელებული პროექტების დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რაც დასტურდება

„ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით, სადაც აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების პროფესიული ზრდა მუდმივი და უმნიშვნელოვანესი პროცესია. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელშიც ორგანიზაციული თუ გარემოს ფაქტორების ანალიზი/შეფასება და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შეფასება მიმართულია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე („მუხლი:2“). ასევე, „მუხლი:7“ ეთმობა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, მასწავლებელთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, პროექტში ჩართვა, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა. „მუხლი 8“ კი არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლას დანერგილი აქვს მრავალმხრივი ობიექტური შეფასების სისტემა: მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება.

სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს , ჯგუფის უკუკავშირის საფუძველზე იკვეთება პედაგოგთა საჭიროებანი და იგეგმება (დასტურდება ოქმებით).

საჭიროების დადგენის მექანიზმი ჩანს Eflow-ში, სკოლას აქვს კათედრის სხდომაზე(ოქმი)დადგენილი საჭიროებები, აქვე გაწერილია მასწავლებლის საჭიროების ანალიზი, რომელიც გადაგზავნილია ადმინისტრაციაში რეაგირების მიზნით.

ადგილზე ვიზიტის დროს გავეცანით მასწავლებლისა და მოსწავლისთვის და ასევე მშობლისთვის განკუთვნილ კითხვარებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილე ადგენს და გეგმავს პროფესიული ზრდისთვის შესაბამის აქტივობებს, რომლებიც ცვალებადია თანამშრომელთა საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილე წინასწარ ადგენს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთდასწრება. თითოეულ თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს დეტალური უკუკავშირი თავისი საქმიანობის შესახებ დირექციისგან, კოლეგებისაგან, დაქვემდებარებული პირებისაგან. ამ დროისთვის სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განვითარების კუთხით

მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა, რა კუთხითაც შესაბამისი ღონისძიების დაგეგმვის მიზნით მუშაობს დირექტორის მოადგილე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებულის თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; 2023-2024 სასწავლო წელს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებში: მედიაწიგნიერების ტრენინგი; ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში; ლიდერი მასწავლებლის ტრენინგ კურსი; თანამედროვე მიდგომები სწავლაში; პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება; არაფორმალური განათლების ცენტრი ეროვნული კონფერენცია „უკეთესი განათლებისთვის“ და ა.შ.სკოლა გეგმავს შიდა სასკოლო ტრენინგების ჩატარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლა ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლამ დაასაქმა დამწყები მასწავლებლები, რომლებმაც კონკურსის გავლის ეტაპზე მაღალი ცოდნა და უნარები გამოავლინა. სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ მასწავლებლებად. მასწავლებლის ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი აქვს საგნობრივი კათედრის წევრებსა და სკოლის დირექციას. სკოლა აცნობს ახალ თანამშრომლებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რომელიც მათ უმარტივებს სკოლისთვის შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. მშობლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაზრდის მიზნით, შეიქმნა სოციალური ქსელში

სკოლის გვერდი , რომლის ფუნქციონირებაშიც სკოლას თავისი წვლილი შეაქვს და ეხმარება, რათა გვერდი იყოს მრავალფეროვანი, საინტერესი და ინფორმაციული. მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებაში და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით (მატერიალური რესურსი, სათანადო სივრცის შექმნით). საბაზო-საშუალო მასწავლებლების ორგანიზებით და ძალისხმევით სკოლაში მედიაწიგნიერების კვირეული გაიმართა , დაწყებითი კლასების მასწავლებლების ორგანიზებით ჩატარდა სასკოლო ღონისძიება დედამიწის დღესთან დაკავშირებით. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგაში, ჩატარდა შიდა სასკოლო ჩემპიონატი ფრენბურთში და ა. შ. ყოველივე ზემოთაღნიშნული აქტივობა, სკოლის მიერ წახალისებულია, სხვადასხვა ჯილდოებით, წიგნებით, სიგელებით. მადლობის გამოცხადებით და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება N-1კ-23 „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შეფასების რუბრიკები;
- 2025 წლის 5 ნოემბრის კათედრის სხდომის ოქმი N-2; საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი;
- 2025 წლის 8 სექტემბრის კათედრის სხდომის ოქმი N-1 ;კათედრის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერთიფიკატები).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურიკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა და სხვ. შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს. ხარისხის უზრუნველსაყოფად ხორციელდება პროგრამებისა და სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა. დირექტორის მოადგილის მიერ ხორციელდება საჭიროებების მუდმივი შესწავლა და გამოწვევების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვისა და კონტროლის მიზნით სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი ზრუნავს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის განსაზღვრაზე, მონიტორინგზე და პროფესიულ განვითარებაზე ხარისხის განვითარების მიზნით, იგი შეისწავლის საჭიროებებს, დაგეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას გააზრებული აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და დოკუმენტურად გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. მმართველობით და ძირითად პროცესებთან ერთად სკოლა ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა) და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა; ნებისმიერი განცხადება/წერილი/კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია სკოლის შინაგანაწესით და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა წესი, ხოლო რაც შეეხება ოქმებსა და სხვა დოკუმენტაციის გასაჩივრების წესს აღნიშნული რეგულირდება კანონმდებლობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის უფლებამოსილება, ასევე, გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი დეტალურადაა მითითებული სკოლის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის N-1კ-01 ბრძანებით დამტკიცებულ მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში (კომუნიკაციის სტრატეგია).სკოლა დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორად იცავს ყველას უფლებას, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მანდატურის

სამსახურიც. ასევე, სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც მიმართულია უფლებების კუთხით ცნობადობის ამაღლებისკენ. სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები.სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;
- 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება N-1კ-01; მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 25 დეკემბრის N-1კ-39; საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ;
- 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N-1კ-22; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.სკოლის სწავლა-სწავლების პროცესში მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს (დოკუმენტის შინაარსისა და მოსწავლის ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით) გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საკითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სწორედ აღნიშნული აქტივობებით ხორციელდება მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მიღებულ უკუკავშირზე სათანადო რეაგირებას ახორციელებს სკოლა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, კვირის ბოლოს, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. მშობლებთან სწორი ფორმით შეხვედრა უზრუნველყოფს ღიაობას, რაც მათი მხრიდან სხვადასხვა საკითხებზე იძლევა უკუკავშირის დამყარების საშუალებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.**უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული წევრის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო რომელიც არჩეულ იქნა 2025 წლის 14 ივლისს, რომელიც შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული

არანაკლებ 6 და არა უმეტეს 12 წარმომადგენლისაგან, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან და სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.

სკოლის უმთავრესი ამოცანაა, შექმნას საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის დემოკრატიული მმართველობის სრულიად ახლებურ მოდელს, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში ისეთი სიახლეების დანერგვას, როგორიცაა სკოლის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მართვაში მოსწავლეთა და მშობელთა აქტიურ და რეალურ ჩართულობას, როგორიცაა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება, სკოლის ფიზიკური და სოციო-ემოციური გარემოს მოწყობა, სასკოლო ურთიერთობების მართვა, სასკოლო კურიკულუმის, თემატურ კალენდარული გეგმების მომზადებაში ჩართვა და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-38; კათედრების დებულების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2024 წლის 12 დეკემბრის ბრძანება N-1კ-50; მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება;
- 2024-2025 სასწავლო წლის მრჩეველთა საბჭოს შემაჯამებელი ოქმიN-4;
- 2025 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N-2-194; ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება N-1კ-01; მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შემოწმება რის შედეგად სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსგან გაიცა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლაში დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის N-1კ-05 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე, სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის 2025 წლის 4 მარტის N-2-29 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლას სახანძრო უსაფრთხოების სისტემების

მოწყობის მიზნით უკვე დაწყებული აქვს მუშაობა, პროექტი შედგენილია, შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და ამ მომენტისათვის სკოლას მიმართული აქვს საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, ვინაიდან არ გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლის დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N-1კ-20 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში სამედიცინო დახმარების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა. სკოლას ჰყავს ექიმი, აქვს ექიმის კაბინეტი, რომლიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ხელსაწყოებით, მედიკამენტებითა და სამედიცინო სახარჯი მასალით.ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ექიმის კაბინეტი არ იყო აღჭურვილი შირმით რათა იყოს დაცული სამედიცინო პროცესების ჩატარების პრივატულობა. არგუმენტირებული პასუხის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო შირმის დამონტაჟების დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N06/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. ამ მიზნით ეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლა აწარმოებს სკოლაში მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების

გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირებას, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ გადაცდომებზე სკოლა მიმართავს ღონისძიებებს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სახით, როგორც მოსწავლეების მხრიდან ასევე, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული პერსონალის მიერ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში და რეაგირებს სათანადოდ. სასკოლო ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული 2 დარაჯი და 2 მანდატური.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა დგას მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოების სადარაჯოზე. სკოლა ზრუნავს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების განვითარების გაძლიერებაზე. საგაკვეთილო პროცესზე მხარდაჭერილია მოსწავლეთა მხრიდან პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი. ტარდება სხვადასხვა აქტივობები, სადაც მოსწავლეები ღიად საუბრობენ მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალურ პრობლემებზე, ერთმანეთს აზრს უზიარებენ, ეძებენ გამოსავალს და გადაჭრის გზებს. აქტივობებში თანაბრად არიან ჩართულნი, ყველა მოსწავლე მიუხედავად მათი ფსიქო-სოციალური სტატუსისა თუ ქცევისა. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებლები და პირადი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების

მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის N-1კ-49 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარული კვანძების დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა, ასევე განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები, კერძოდ, დამლაგებლები, ასევე, ექიმი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციას ჰიგიენური და სანიტარული ნომრების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე ხდება საკლასო ოთახების განიავება და შესაბამისი წესით დასუფთავება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 2 დეკემბრის N-1კ-44 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. ასევე მონაცემი მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის 2024 წლის 2 დეკემბრის N-1კ-46 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისობის შემოწმებას მოქმედ კანონმდებლობასთან.სკოლის დირექციის მიერ მოხდა აღნიშნული წესის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის გაცნობა, რათა ერთობლივად თანამშრომლობის საფუძველზე მიღწეულ იქნას დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება: ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ; ინფორმაცია ვიზიტორების შესახებ. სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა (Teams), რომელსაც ნერგავს და მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემა. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს დაუშვებელია მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ჟურნალში ნიშნების გადატანა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია ჟურნალში გადატანისთანავე დაუყოვნებლივ გაანადგუროს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემცველი ჩანაწერები წიგნაკში.

სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ლაბორატორიის გამოყენების წესი, სადაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პროცედურები. სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

წესისა და პირობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი წარდგენილ ანგარიშებში. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით დირექტორის ბრძანებით სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ:

- თამბაქოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი;
- სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 31 იანვრის ბრძანება N-1კ-04; საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;
- 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N-1კ-05; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებაზე;
- 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანება N-2-28; უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 2020 წლის 3 დეკემბრის ბრძანება 1კ-20; სამედიცინო დახმარების წესის დამტკიცების შესახებ;
- 2018 წლის 3 მაისის ბრძანება N-2-75; თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი;
- 2024 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N-1კ-44; პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- 2024 წლის 12 დეკემბრის ბრძანება N-1კ-49; „სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- 2020 წლის 4 დეკემბრის ბრძანება N-1კ-21; „ლაბორატორიის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ და დამტკიცებული წესი“;

- 2024 წლის 5 დეკემბრის ბრძანება N-1კ-48; კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა;
- 2024 წლის 21 თებერვლის ბრძანება N-2-31; „რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 8 818 კვ.მ. ფართი, საიდანაც შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 2 496 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ძირითადად რეაბილიტირებულია და გამართულია. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და თანამედროვე რესურსებით (კერძოდ, პროექტორები). სკოლას აქვს სათანადო რაოდენობის კომპიუტერები (10 პერსონალური და 41 ლეპტოპი), ასევე, გამართული აქვს 20 საკლასო ოთახი, 1 სპორტული დარბაზი და 1 ღია სპორტული მოედანი. ძველი რეაბილიტირებული სააქტო დარბაზი. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სკოლას არ აქვს სსსმ მოსწავლისთვის გადაადგილების მექანიზმი (პანდუსი
   ან ლიფტი)

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი რესურსები.თუმცა სკოლამ წერილობითი ფორმით უკვე მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. ამასთანავე, მათთვის გამოყოფილია რესურს ოთახი და შესაბამისი ადამიანური პერსონალი (სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები). სკოლას ჰყავს სათანადო რაოდენობის ადამიანური რესურსი და აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. სკოლაში არის მოსწავლისთვის საჭირო 534 ინდივიდუალური მერხი და სკამი , რომლებიც შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არასრული აღჭურვილობა , რომელიც ინახება საპრეპარატოროში. ამავე დროს არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ, საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე ექსპერიმენტის ჩასატარებლად მათ რესურსები გააქვთ საკლასო ოთახში.სკოლას **მიეცა რეკომენდაცია** მოაწყოს და აღჭურვოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს სსსმ მოსწავლისთვის გადაადგილების მექანიზმი (პანდუსი ან ლიფტი) სკოლას აქვს დაგეგმილი მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია 09.03. 2026-დან - 30.04. 2026 წლამდე.

სკოლას არ აქვს განსაზღვრული პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟების ვადები.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ნებისმიერი საერთო სარგებლობის სივრცითა და მატერიალური რესურსით შეუძლია ისარგებლოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები აქტიურ რეჟიმში იყენებენ სკოლაში არსებულ კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სამასწავლებლოს, სპორტულ დარბაზებსა და გარე სპორტულ მოედანს. ასევე, მათ აქვთ წვდომა თითოეულ სივრცეში მატერიალურ რესურსებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს გრიფმინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს. ამასთან ერთად, ბიბლიოთეკაში არის სხვადასხვა ჟანრის საკითხავი ლიტერატურა, სამეცნიერო და დამატებითი შემეცნებითი სახელმძღვანელოები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. სკოლის

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი არ არის სათანადოთ დამუშავებული და აღწერილი. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში დაიწყო სკოლის წიგნადი ფონდის აღწერა. საინვენტარო წიგნში დაინომრა გვერდები, გაეყარა ზონარი და დამოწმდა სკოლის ბეჭდით. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის აღწერის მასალები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისთვის შესაბამის გარემოს, როგორც სსსმ მოსავლეებისთვის ასევე, ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის. სკოლა აღჭურვილია, ყველა იმ რესურსით, რომლასც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწერსებულება. საკლასო ოთახები და კაბინეტები მოწყობილია შესაბამისად. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სათანადოდ მოწყობილი სპორტული და სააქტო დარბაზები. სკოლის შენობის რეაბილიტაცია მოხდა ნაწილობრივ 2015 წელს. სკოლას აქვს რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო, სკოლაში დასაქმებულია 2 სპეციალური მასწავლებელი და 3 სსსმ პირის ასისტენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. სააქტო დარბაზში ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ლიტერატურული და საკონცერტო ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს 1 შიდა და 1 გარე სპორტული მოედანი, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. გეგმავენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და თამაშებს. სკოლაში მოწყობილი გვაქვს სამკითხველო სივრცე, კერძოდ სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც 9:00 საათიდან 18:00 საათამდე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მოაწყონ სხვადასხვა კულტურული, სახელოვნებო და შემეცნებითი ღონისძიებები. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, სკოლა პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობებით ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული და განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მიღების დოკუმენტაცია;
- 2025 წლის 28 თებერვლის ბრძანება N-2-26; ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;
- წიგნების გადაცემის აქტები;
- სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის შრომითი ხელშეკრულება;
- კომპიუტერების, წიგნადი ფონდის, პროექტორების, ლეპტოპების, კამერების, მიღების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ, სკოლას აქვს 41 ლეპტოპი, 10 კომპიუტერი, 5 პროექტორები და 5 პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და დაფარულია Wi-Fi-ით. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც მობილიზებულია საჭირო რაოდენობის ტექნიკა, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და

მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. ამასთანავე, ბიბლიოთეკაში და რესურს ოთახში განთავსებულია კომპიუტერი, რომლითაც შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ მასწავლებლებმა. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის ერთწლიანი ციფრული განვითრების გეგმა შექმნილია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად და მიმართულია შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად:

-მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მოსწავლეთა ინოვაციებსა და ინიციატივებს;

-ჩამოყალიბდეს უფრო მეტად ტექნოლოგიურად განვითარებული მასწავლებელი, რომელიც სწორად წარმართავს საგაკვეთილო პროცესს;

-მოსწავლეებმა აიღონ უფრო მეტი პასუხისმგებლობა თავის სწავლაზე;

-ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად;

-შექმნას ახალი ციფრული სასწავლო რესურსები და აქტივობები თითოეული სასწავლო თემისთვის;

-გაიზარდოს მშობლების ჩართულობა სწავლების პროცესში.

მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლო ოთახსა და ბიბლიოთეკაში. მასწავლებლების სამუშაო სივრცე სრულად მოწყობილია კომპიუტერების გამოყენებისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერები მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. ასევე, მასწავლებლებს შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში გამოიყენონ ლეპტოპები და პროექტორები, რომლებიც სამასწავლებლოშია განთავსებული. მასწავლებლებს შეეძლებათ ამ სივრცის გამოყენება უქმე დღეებში ტექნიკაზე პასუხიმგებელ პირებთან წინასწარი შეთანხმებით 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი სკოლაში არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პირადი პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N2-27 ბრძანებით

დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენების წესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 5 დეკემბრის ბრძანება N-1კ-48; კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრის შესახებ;
- კომპიუტერების, პროექტორის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2025 წლის 28 თებერვლის ბრძანება 2-27; მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის N-1კ-39 ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. გარდა ამისა, 2012 წლის 29 სექტემბრიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას ”eflow”-სა და Eschool-ის ბაზებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს საქმისწარმოების წესში სეტანილი იქნა სვლილება. კერძოდ, განისაზღვრა იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. მოხდა სკოლის საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ ჟურნალებში ფურცლების დანომვრა, გაეყარა ზონარი და დამოწმდა სკოლის დეჭდით. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი ; ფოსტა: tbilisi17@mes.gov.ge ასევე, სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (Eschool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ TEAMS -ის პროგრამებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschool), რომელსაც მართავს სკოლის საქმისმწარმოებელი. ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია სახელმწიფო უწყებებთან. აღნიშნული კომუნიკაცია ხორციელდება როგორც Eflow-ის და Eschool-ის, ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია რესურსცენტრთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა თუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის №75599 ბრძანებით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულებისათვის საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №365 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წარმოდგენის ვადებს და წარდგენისას - ინფორმაციას მოთხოვნილი თანდართული ცხრილების შესახებ.,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარადგენს ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს დირექტორის ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' 34-ე მუხლის თანახმად, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელსაც არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-39; საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ;
- ვებ-გვერდი ლინკი;
- სოციალური ქსელის ლინკი;
- 2024 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება N-1კ-34; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 2024 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N-1კ-46; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

- 2025 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-16; ფინანსური საქმიანობის და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიში;
- დირექტორის ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს;
- დირექტორის ანგარიში პრემიერ მინისტრს;
- დირექტორის ანგარიში პარლამენტის თავმჯდომარეს;
- სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების, საშუალებით. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. სკოლა ნებისმიერ სიახლეს პედაგოგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია), სადაც დეტალურადაა გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლეები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლაში განხორციელებული ყველა აქტივობა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიღწევები, ჯილდოები ქვეყნდება სკოლის სოციალური ქსელის ვებ. გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული კონტროლდება სკოლის სოციალურ ქსელზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. სკოლის სოციალურ ქსელში

განთავსებული ინფორმაცია, განთავსებამდე მიეწოდება ინფორმაციის განათავსებაზე პასუხისმგებელ პირს. წინასწარ იწერება ტექსტი და გამოქვეყნდებამდე უთანხმდება სკოლის დირექციას და აქტივობაში მონაწილე პირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს სკოლის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო სასწავლო პროცესის ამსახველი ინფორმაცია, ინფორმაცია არის სანდო და გამჭვირვალე, მისი განთავსება ხდება ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება N-1კ-01; მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ;
- მშობელთა კრების სხდომის ოქმი;
- ვებ-გვერდის ლინკი;
- სოციალური ქსელის ლინკი;
- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-40; სოციალურ ქსელზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი შეუფერხებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს როგორც ფინანსური რესურსის დაგეგმვის, ასევე, მისი განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აორგანიზებს შეხვედრებს სამეურვეო საბჭოსთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, თვითმართველობასთან და ტექნიკურ პერსონალთან და თანხმდება თუ რა ესაჭიროებათ სამუშაო გეგმის შესასრულებლად. ამის შემდეგ ტარდება ბაზრის კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, რომელიც ფინანსების გათვალისწინებით შეიმუშავებს ბიუჯეტს დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოში არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, წლის განმავლობაში გარკვეული საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება ბიუჯეტის ცვლილება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026 წლის სკოლის ბიუჯეტი;
- 2025 წლის 19 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-17 , 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- 2026 წლის შესყიდვების წლიური გეგმა და დამტკიცების დოკუმენტაცია;
- 2025 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-16; ფინანსური საქმიანობის ანგარიში;
- 2025 წლის 28 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-14; ბიუჯეტის ცვლილების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც თავის მხრივ წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას. მრჩეველთა საბჭო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, შეხვედრების და ინფორმაციის გაცნობის გზით:

ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;

ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;

გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექციასთან ერთად, შინაგანაწესის სრული დაცვით უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბავშვთა დაცვის

მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ტარდება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. საჩივრის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, მანდატურს, რომელთა მიერ ხდება სათანადო ღონისძიებების გატარება. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, თამბაქოს მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი, თერმოსკრინინგზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვას ახორციელებს სკოლის კვალიფიციური ექიმი. სსსმ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლაში პერიოდულად ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებით, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები კლასის დამრიგებლები და დირექცია, გამოკრულია პოსტერები, რიგდება საინფორმაციო ბროშურები, ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კანონით გათალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე, დამრიგებელბის მიერ აღნიშნული გაცნობილი აქვთ სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 61 პუნქტის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები. ზემოაღნიშნულის დაცვით, ყოველწლიურად, ასევე, მობილობის საფუძველზე, ახალი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან/მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 21 თებერვლის ბრძანება N-2-30; უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 2018 წლის 3 მაისის ბრძანება N-2-75; თამბაქოს მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი;
- ექიმის შრომითი ხელშეკრულება;
- 2016 წლის 16 ნოემბრის ბრძანება N-1კ-36; ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცება;
- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-41; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში შესაძლო ძალადობის ჩადენის ფაქტზე პოლიციისათვის ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ;
- პროექტებისა და და ღონისძიებების მტკიცებულებები (ძალადობა და ბულინგი);
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული პროცედურა საჯაროა და ინფორმაციის მსურველთათვის მიწოდებას ახორციელებს სკოლის კანცელარია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის თანამშრომლები მოქმედებენ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, სატელეფონო კომუნიკაციისა თუ პირადი შეხვედრებისას ისინი დაინტერესებულ პირებს აწვდიან სწორ ინფორმაციას. პროგრამებისა თუ დამატებითი მომსახურებების შესახებ. ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ინფორმაცია ზიარდება მშობელთა კრებებზე. ასევე, სკოლის FACEBOOK-გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია სკოლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 11 თებერვლის ბრძანება N-2-15; (სსიპ - ქალაქ თბილისის N-17 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის სოც. ქსელის ლინკი (სოც. გვერდი)
- 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N-1კ-40; სოც ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლის დახმარება და მისი მხარდაჭერა თითოეულ ეტაპზე. ამისთვის უზრუნველყოფილია მოსწავლის მხარდაჭერისა და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის

შეჩერების, მობილობისა და სასკოლო სივრცეში ადაპტაციის წესი. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, დამრიგებლებს და განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები და სოციალური მუშაკი (საჭიროების შემთხვევაში). მასწავლებელი სხვადასხვა არაფორმალური აქტივობებით ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციას. კერძოდ, ხდება პროექტების, ღონისძიებების, გამოფენების, ექსკურსიების, გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსითაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ ჯგუფური ან და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარებას. ასევე, ექსტერნის შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, აღნიშნული უზრუნველყოფილია საშემოდგომო ან/და წლიური გამოცდების შემთხვევაში. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მუდმივად ინდივიდუალურ ინფორმირებას დამრიგებლის მეშვეობით, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), რათა ჩამორჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსწავლისთვის დახმარება. ხოლო

მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული აქვს, ასევე, დახმარების სახვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება სადაც, ასახულია კომუნიკაციის სახეები, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით), Teams-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში, ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით, ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით, სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი. ჯგუფში ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). მასწავლებლები არასაგაკვეთილო დროსაც აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში დასახმარებლად. ეს ხდება საჭიროების შემთხვევაში, იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც გარკვეული ჩამორჩენა აქვთ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება., ასევე რა ვადაში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება, მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას, რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. სკოლის თანამშრომლები მუდმივად მზად არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და შედეგების გაუმჯობესებაში, სწორედ ამ მიზნით უწევენ მოსწავლეებს კონსულტაციებს სწავლასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლითი ღონისძიებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძიება ეწყობა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. მაგ. სკოლაში დაწყებით კლასებში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, სადაც გამოვლინდა 5 საუკეთესო ნამუშევარი. კალიგრაფიის კონკურსში გამოვლენილი საუკეთესო ნამუშევრებისათვის სკოლის ადმინისტრაციამ და დირექტორმა, სიგელებით დააჯილდოვა ნამუშევრების ავტორები; მე-6 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ესგ გათვალისწინებულ კონკურსში „მეგრული სამზარეულო“, მოსწავლეებმა მოამზადეს მეგრული კერძები, სადაც გამოვლინდა საუკეთესო კერძის ავტორი, რომელიც დირექციის მიერ სიგელით დაჯილდოვდა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში. ამისთვის მოსწავლეები პერიოდულად (მაგ. არდადეგების წინ, თემის დამუშავების, პროექტზე მუშაობის პროცესში) იძლევიან თავისუფალ უკუკავშირს საკლასო კლიმატზე, სასწავლო წარმატებებსა თუ სირთულეებზე, მასწავლებლის მიდგომებზე, გამოყენებულ სასწავლო მეთოდებზე, მერე კი მასწავლებელთან ერთად აანალიზებენ შედეგებს და ამის საფუძველზე აყალიბებენ შემდგომ სამუშაოს. ასევე, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური საუბრების საშუალებით ხორციელდება კომუნიკაცია, ხდება დადებითი და უარყოფითი მხარეების გაზიარება რაც, შემდგომში სასწავლო პროცესის მექანიზმების გაუმჯობესების უკუკავშირს იძლევა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება N-2-245; ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინდ. გეგმები;

- ექსკურსიის განაცხადი;
- ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტო მასალა;
- ექსტერნის გამოცდების კონსულტაციის განრიგი;
- 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება N-1კ-01; მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- 2025 წლის 11 თებერვლის ბრძანება N-2-14; მოსწავლის ადაპტაციის წესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით. ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის მისიის გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებას სკოლაში, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები თუ ღონისძიებები, როგორებიცაა: პროექტი, შემოქმედებითი დავალება, ავთენტური სიტუაციები/ ქეისები, სხვადასხვა სპეციალობის მქონე მშობლებთან თუ ადამიანებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრები, მიზნობრივი გასვლითი გაკვეთილები/ექსკურსიები ხელს უწყობს მათ პროფესიული ორიენტაციის ფორმირებაში. აქტივობების შერჩევა და მოსწავლეთა ჩართვა ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და ეხმარება მათ საკუთარი ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში.სკოლაში შემოსული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს კარიერულ დაგეგმვას და პროფესიულ ორიენტაციას დროულად მიეწოდებათ მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლის მიერ ხელშეწყობილია პროფესიულ სასწავლებლების მიერ ორგანიზებული პრეზენტაციები/შეხვედრები. მაგ. სკოლაში მოწვეული იყო მწერალი დინა მირცხულავა, რომელმაც მოსწავლეებთან შეხვედრის დროს ისაუბრა თავის პროფესიის მნიშვნელობაზე- „პროფესია მწერალი“. მოსწავლეებს გააცნო თავისი ნამუშევრები და შეხვედრა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მწერალმა კლასს სამახსოვროდ გადასცა წიგნი მისი ავტორობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა აორგანიზებს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ მომავალი პროფესიის შერჩევისას. შეხვედრები იმართება სასწავლო პროცესის შემდეგ, რომელზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ, როგორც მოსწავლეებს ასევე, მშობლებს. შეხვედრებზე რიგდება შესაბამისი ინფორმაციული ბუკლეტები, მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებისა და სასწავლებლების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და პიროვნული მახასიათებლები; ასევე, დამრიგებლის მიერ პერიოდულად იმართება მოსწავლეებთან შეხვედრები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მოსწავლეებისგან, უნივერსიტეტების მიერ მოწყობილი შეხვედრების, ,ასევე პროფესიულ კოლეჯთან ურთიერთობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემას ახდენს ზეპირი უკუკავშირით. მომავალში სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის კითხვარების შემუშავებას და გამოკითხვას მათი გაანალიზების შედეგების გათვალისწინებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზების დაგეგმვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 30იანვრის ბრძანება N-1კ-03; პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმი;
- მწერალთან შეხვედრის ფოტო მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

თითოეულ სსსმ მოსწავლეს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ჰყავს შესაბამისი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებლები და ინდივიდულური ასისტენტები. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ესგ-ზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პერიოდულად ხდება აღნიშნული გეგმების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც მასში ხორციელდება ცვლილებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებაზე. მშობლის ჩართულობითა და თანხმობით, მასწავლებლების ჩართულობით შესაძლებელია მოსწავლის გადაფასების მიზნით მოხდეს მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა, ხოლო გადაფასების შემთხვევაში მოხდეს გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ფორმების დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში ინდ. გეგმაში ცვლილების შეტანა. მაგალითად, პირველკასელი სპეციალური საგანმანათლებლო სჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში განხორციელდა შემდეგი: აღნიშნული მოსწავლე პირველ კლასელთა რეგისტრაციისას დარეგისტრირდა სსსმ მოსწავლედ. სკოლისა და მშობლის მიმართვის საფუძველზე გაეგზავნა მოთხოვნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დასადგენად. რომლის შეფასების საფუძველზე დადასტურდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. სასწავლო წლის დაწყებამდე სპეციალურმა მასწავლებელმა დამრიგებელთან ერთად დაიწყო ტრანზიციის პროცესი. სპეციალურმა მასწავლებელმა, დამრიგებელთან და მშობელთან ერთად ისაუბრეს მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე , დასახეს სამომავლო მიზნები, გარდა ამისა ჩაატარეს აქტივობები სსსმ მოსწავლესთან სასკოლო გარემოს გასაცნობად. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სასწვლო წლის დასაწყისში სკოლამ გამოსცა ბრძანება ისგ გუნდის შექმნის შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალურმა მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლის უნარები სხვადასხვა სფეროში: აკადემიური (წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში), შემეცნებითი (ყურადღება, მეხსიერება, აღქმა, აზროვნება), ფიზიკური სფერო (ნატიფი და მსხვილი მოტორიკა), კომუნკაცია-ენა-მტყველება (რეცეპტული და ექსპრესიული ენა), სოციალურ-ემოციური სფერო (თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, ურთიერთობები), ადაპტური სფერო (თვითმოვლის უნარები და დამოუკიდებლობა), ხოლო საგნის მასწავლებლებმა შეაფასეს თითოეულ საგანში მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონე. რომლის საფუძველზე შეიქმნა სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ისგ-ები (პირველი კლასელების შემთხვევაში 1 თვის , ხოლო დანარჩენ შემთხვევაში 2 კვირის ვადებში). მულტიდისციპლინურმა გუნდმა ასევე დაადასტურა პერსონალური ასისტენტის საჭიროება. სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი წესესების დაცვით, პერსონალური ასისტენტის აყვანა. სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ისგ ჯგუფის წევრები. აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ მონიტორინგი განხორციელდეს

ობიექტურად და მიუკერძოებლად. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელიც კანონის შესაბამისად იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ამის დასტურია სკოლაში განხორციელებული სხავადასხვა შემეცნებთი, საინფორმაციო და განმავითარებელი აქტივობები: 21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაწყებით კლასში ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა. სპეციალურმა მასწავლებელმა დამრიგებელთან ერთად მოსწავლეებს აუხსნა და ესაუბრა დაუნის სინდრომის შესახებ, მოეწყო ანიმაციური ფილმის ჩვენება, შემდეგ კი განხილვა. საწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად ეწყობოდა კლასებში ჯგუფური აქტივობები, რომლებიც ემსახურებოდა მოსწავლეებში გუნდური მუშაობის , თვითშეფასების, კომუნიკაციისა და მოტივაციის გაზრდას. ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები ცნობიერების ამაღლების კუთხით მშობლებთან, ატარებენ ტრენინგებს პროფესიული ზრდისთვის სკოლის დირექციასთან, სპეციალურ მასწავლებლებთან და საგნის მასწავლებლებთან. სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება მინიმუმ 4-ჯერ, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან : მშობელი , კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი,(არსებობის შემთხვევაში) და სკოლის ადმინისტრაცია (საჭიროების შემთხვევაში). შეხვედრებზე განიხილება სსსმ მოსწავლის საჭიროებები და მიღწევები.სკოლაში არსებობს რესურსოთახი, რომლითაც სარგებლობენ სსსმ პირები საჭიროებისამებრ სპეც. მასწავლებლების დახმარებით. ყოველ წელს ხდება რესურს ოთახის გამდიდრება სსსმ პირების საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა რესურესებით. ასევე, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, საკლასო ოთახში ხდება სპეც. მასწავლებლების ჩართულობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმა;

- მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნები;
- 2025 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N-2-195; ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა,
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- 2025 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N-2-194; ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის შექმნის ბრძანება;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- ანიმაციის ჩვენების ფოტო მასალა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას ქართული ცეკვისა და გახანგრძლივებული წრის სახით. აღნიშნულში მოსწავლეთა ჩართულობა ნებაყოფლობითია. აღნიშნული წრეები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ასევე, დაინტერესებული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ფორმდება სათანადო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი. მოსწავლე და მისი მშობელი ინტერესების გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ. სურვილის გამოხატვის შემთხვევაში მხარეებს შორის ხდება პირობების გაცნობა, შეთანხმება და შემდგომ მხარეთა შორის

ფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურება მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებით მომსახურებას სთავაზობს მოსწავლეებს გახანგრძლივებული ჯგუფის და ქართული ცეკვის სტუდიის სახით. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალ;ისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025 წლის 17 სექტემბრის ბრძანება N-2-207; ფასიანი წრის შექმნის ბრძანება;
- წრის მომსახურების ხელშეკრულებები მშობლებთან;
- წრის პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას 2024 წლის 2 სექტემბრის ბრძ. N-1კ-29/1 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების კონცეფცია, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლები, ადმინისტრაცია) როლი და მნიშვნელობა. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით კათედრებმა შექმნეს საგნობრივი კურიკულუმები, სადაც ასახულია საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით სავალდებულო თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებების პირობები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). საგნობრივი კურიკულუმები ქმნის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, რომლის მიხედვით სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება. (პედაგოგიური საბჭოს ოქმი #7). საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და შესაძლებლოებები, რაც განსაზღვრულია ისგ-ის დოკუმენტით და სპეციალური მასწავლებლის, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება. კათედრის სხდომებზე მოქმედი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით იგეგმება კურიკულუმის შექმნა, სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს

სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას, რასაც ხელს უწყობს საგნობრივ კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები, რის მიხედვით შექმნილია მოსწავლეების ნამუშევრები, რომლის პროცესშიც მშობლის ჩართულობაც ხორციელდება, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესები. სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს სპეციალური და საგნის მასწავლებელი და მშობელი. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/განახლება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო კურიკულუმების შექმნის პროცესში მუდმივად ხორციელდება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დირექცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავების, დახვეწისა და განხორციელების პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-137/1, სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის საჭირო ღონისძიებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება N-1კ-29/1 სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- პედსაბჭოს ოქმი N7;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ისგ- დოკუმენტები (საგნების მიხედვით).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მასწავლებლების მიერ გაწერილი აქტივობები ორიენტრიებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება კათედრის წევრებს შორის მოსაზრებების გაზიარება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. დაწყებით საფეხურზე დავალებების

	შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია, განახლდეს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში (დანართი N9) სწავლის შედეგები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისთვის გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განსხვავებულ ფორმულირების გარეშე. **რჩევა**: არჩევითი საგნის ქიმიური ტექნოლოგიების კურიკულუმი მე–11 და მე–12 კლასისთვის იდენტურია. სასურველია, რომ კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს გაწერილი სასწავლო თემები ცალკე მე–11 კლასისთვის და ცალკე მე–12 კლასისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურზე, წარმოდგენილი იქნა საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია), ასევე არჩევითი საგნის კურიკულუმი (მედიაწიგნიერება, X კლ.) და სამოქალაქო განათლების პროექტები (X, XI, XII კლასები). კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს და მრავალფეროვან უნარებს; მიზნის მიღწევის საშუალებად კი, მეტწილად, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები / დავალების იდეები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოავლინონ ცოდნა და უნარები, თავიანთი ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად (მაგალითად, საგან „მე და საზოგადოებაში“, III კლასში, შემოქმედებითი დავალების სახით განსაზღვრულია „საკლასო კონსტიტუციის“ შექმნა; VIII კლასში, „ისტორიაში“ მოსწავლეებმა ვიზუალური მოდელის სახით უნდა წარმოადგინონ შუა საუკუნეების საცხოვრისი და ა.შ). მიზნის მისაღწევად, კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მაგალითად დისკუსია, გონებრივი იერიში, პრეზენტაციის მომზადება და ა.შ. კურიკულუმის თანმხლები განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

	ადასტურებს, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი კურიკულუმები არაერთგვაროვანია და სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავებულად არის აგებული (ზოგჯერ ერთი საგნის ფარგლებშიც), თუმცა შეიცავს საერთო ელემენტებს: თემები, სამიზნე ცნებები, დავალების/ სამუშაოს იდეა, რესურსები. **რჩევა:** სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, საკვანძო საკითხები, თემატური მიმართულებები, შესაბამისი შემოქმედებითი და პრაქტიკული დავალებები, ასევე სასწავლო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათი ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, ასევე კომუნიკაციური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის

	უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმეტი, სადაც ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროეცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზები. ასევე, ინტერვიუს პროცესში მსაწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს დავლებების თემების შერჩევისას. ამას ადასტურებს საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დაგეგმილი საინტერესო შემოქმედებითი დავალებები და ატივობები. აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხურის ფარგლებში შესაბამისობაშია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა და წარმართვისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები. ასევე გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა

	აქტივობები, თუ პროექტი, რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ავტორიზაციისთვის საჭირო დოკუმენტებში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო (2-6 კლასი). კურიკულუმი სრულად შეესაბამება საგნის ესგ-ის სტანდარტს. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების და საკვანძო საკითხების შესწავლის სწორი სტრატეგია. საგნის მასწავლებელს შესანიშნავი კონტექსტ-მაგალითები აქვს შექმნილი, ასევე ინტერვიუს დროს ნათლად ჩანდა მისი საქმიანობის მორგება მოსწავლის საჭიროებებზე და განვითარებაზე . მას აქვს შექმნილი პრაქტიკული დავალებების კრებული, რომელსაც იყენებენ საგნის სხვა მასწავლებლებიც. ნაბეჭდი სახითაც და ელეტრონულადაც. ავტორიზაციისთვის წარმოდგელი საგნის კურუკულუმში სამიზნე ცნებები თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან არის კავშირში, ცნებების გააზრების , გაფართოების და დამკვიდრების პროცესში გამოყენებულია სწორი სტრატეგია. ასაკის, წინარე ცოდნის და გამოცდილების კონტექსტის გათვალისწინებით არის აგებული. შედგენილი კომპლექსური

	დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს ძირითადი ფუნქციური უნარების განვითარებას . დიფერენციალური მიდგომის პრაქტიკის მაგალითად შეიძლება ჩაივთვალოს კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა პლატფორმების , პროგრამების და პრობლემის გადაჭრის გზების არჩევვნის შესაძლებლობა. სკოლას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში "თვითშეფასება დაწებითი" ვკითხულობთ რომ, სკოლას შემუშავებული აქვს სსმ პირებთან მუშაობის მექანიზმი, შექმნილი აქვს ისგ ჯგუფი და ისგ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სჭირდება აკომოდაცია, ადაპტაცია. ასევე წარმოდგენილია ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი.საგნის ესგ-ის სტანდარტის მიხედვით მე- 5 კლასის 1 სემესტრის ჩათვლით რეკომენდირებულია განმავითარებელი შეფასება და მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან და მე- 6 კლასში -განმსაზღვრელია. საგნის მასწავლებელი ათეული წლებიია მუშაობს საჯარო სოლაში, ჩართულია საერთშორისო პროექტებში, ითვლება საგნის ერთერთ საუკეთსო მასწავლებლად. ყოველი სასწავლო წლის კურუკულუმში გათვლისწინებულია წინარე ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა მეოთხე კლასი – „ჩემი მათემატიკური ქალაქი"; ქართული მეორე კლასი – ამბის შეთხზვა, წერილის მიწერა; მე და საზოგადოება – მესამე კლასი–კომიქსის შექმნა; ბუნებისმეტყველება – მეოთხე კლასი– "წვეთას თავგადასავალი"), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას.* *ინდიკატორი შესაბამისობაშია.*

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.რჩევა: სასურველია რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების III და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განსხვავებული ფორმულირების გარეშე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით; მათში ასახულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს, ხოლო შედეგების მიღწევა შემოქმედებითი დავალებებით არის უზრუნველყოფილი; შემოქმედებითი დავალებების განხორციელება ხდება მიზნობრივი საგაკვეთილო აქტივობებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების ნაწილში, თითოეულ თემაში არ არის წარმოდგენილი ყველა სამიზნე ცნება (ისტორია და საქართველოს ისტორია- XI, XII კლასები, გეოგრაფია - VII, VIII, IX კლასები, მოქალაქეობა - VII, VIII, XII კლასები). გარდა ამისა, კურიკულუმების ნაწილში, ყველა თემაში არ არის გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალება, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული თემის კონტექსტში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. წარმოდგენილ კურიკულუმებში არ არის მითითებული თითოეული თემის დასაფარად

	გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა და საკითხების სემესტრული განაწილება. **რჩევა:** სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში განისაზღვროს სავალდებულო თემებისათვის განკუთვნილი საგაკვეთილო საათების რაოდენობა, მოხდეს დასამუშავებელი საკითხების სემესტრული განაწილება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). რჩევა: საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, სასურველია, თითოეულ თემაში სრულად გაიწეროს ყველა სამიზნე ცნება და განისაზღვროს მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ბუნების დავალება (საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები და პრიორიტეტები. კურიკულუმების სტრუქტურაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, თემები და საკითხები, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისი სასწავლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ დაგეგმვას. კურიკულუმებში ასევე იკითხება მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **რჩევა:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გაიზარდოს შემოქმედებითი ხასიათის დავალებების წილი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მაღალი დონის აზროვნებითი უნარების განვითარებას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, გასაუბრების შედეგად გამოკვეთილ მიგნებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა სასწავლო პროცესი დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შემუშავებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე საჭიროებს გამუმჯობესებასა და გადახედვას. სამომავლოს სასურველი იქნება კათედრამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები: **რჩევა** ● დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სასურველია უფრო ყურადღებით შეირჩეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები შემოქმედებით დავალებასთან მიმართებით. ● საბაზო საფეხურის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მერევე კლასისის კურიკულუმებში, ზოგიერთ თემაში სამიზნე ცნებების ფორმულირება ნაწილობრივ შეესაბამება საგმობრივ სტანდარტს, სასურველია გადაიხედოს და გასწორდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგალითად, ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ლექსის მიხედვით ნახატის შექმნა, ანალიტიკური ესსეს შექმნა, თხზულების შექმნა სხვადასხვა საკითხზე, პრეზენტაციის მომზადება, ბიოგრაფიული ნარკვევის მომზადება და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ კლასში შეინიშნება ისეთი დეტალები, რომელთა შესწორების რესურსი სკოლას აქვს, მაგალითად, მართალია, დაწყებით საფეხურზე სამიზნე ცნებების უმრავლესობა ურთიერთმიმართებაშია შესაბამის კომპონენტებთან, მაგრამ პირველ და მეორე კლასში

	უნდა მუშავდებოდეს სამიზნე ცნება გრამატიკაც, სამიზნე ცნება კოდირება-დეკოდირება აქტიურია მხოლოდ საანბანო პერიოდისთვის, შესაბამისად, არ უნდა გვხვდებოდეს ანბანისშემდგომ პერიოდშიც, მეხუთე-მეექვსე კლასებში, მასწავლებლებმა უნდა ისარგებლონ დაწყებითი საფეხურის სტანდარტით, ისევე როგორც აკეთებენ ამას პირველ ოთხწლედში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას; რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ტექნოლოგიები	ყველა წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში იკვეთება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მაგალითად პოსტერის შექმნა, ინტერნეტი და უსაფრთხოება, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება ვიზუალური პროგრამირების გარემოში.წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებში ნათლად ჩანს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დასმული საკვანძო და თემატური კითხვებში . მაგალითისთვის ცნება ალგორითმი ესგ- სტანდარტის შედეგი კომპ. ტექ. დაწყ. 3. შესაბამისია და საგნის მასწავლებელს მე-2 კლასის კურიუკულმში აქვს გაწერილი და მე-3 კლასში კომპლექსურ დავალებაში წინარე ცოდნის გასააქტიურებლად არის დასმული კითხვები : რა არის ალგორითმი? · რა არის ანიმაცია? რა იცი ვიზუალური კომუნიკაციის ენის შესახებ? ხომ არ დაგიწერია რაიმე კოდი ვიზუალური ბლოკების გამოყენებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.* *რჩევა: სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, ქართული ენის საგანში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და დაკონკრეტდეს ქვეცნებები.* *ინდიკატორი შესაბამისობაშია*

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. თუმცა, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებისთვის არ არის მითითებული სკოლის პრაქტიკაში განხორციელებადი სადემონსტრაციო/ ლაბორატორიული ცდები (ცდის დასახელება, მოწყობილობები და მასალები). ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებობს საგნების მიხედვით გაკვეთილებზე რეალური ცდების განხორციელების პრაქტიკა მწირი რესურსებით. **რჩევა:** სასურველია ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა. სკოლაში არსებული რესურსების შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ბუნებისმეტყველება) და საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში გაწერილი იყოს სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდების რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. ძირითად რესურსებს წარმოადგენს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსებად გამოყენებულია ელექტრონული მასალები (ვიდეოების, სტატიების ბმულები, ფოტომასალა), თვალსაჩინოებები და ა.შ. რესურსები, ძირითადად, შერჩეული არის სამიზნე ცნებების და თემების შესაბამისად; სხვადასხვა ტიპის რესურსების შეთავაზების მიზანია, სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული და ინტერაქტიური გახდეს. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ასახვასთან დაკავშირებით, სკოლას არ აქვს ერთიანი მიდგომა; ცალკეულ შემთხვევაში წარმოდგენილი რესურსები

	მრავალფეროვანია, ზოგჯერ კი - მწირი. მაგალითად, XI-XII კლასების „ისტორიის“ და „საქართველოს ისტორიის“, XII კლასის „მოქალაქეობის“ საგნობრივი კურიკულუმები, რესურსების ნაწილში, ძირითადად, სასკოლო სახელმძღვანელოებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, კურიკულუმებში, განსხვავებულია რესურსების მითითების დეტალიზაციის ხარისხი და ფორმატი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ პედაგოგები თანამშრომლობენ რესურსების შერჩევის პროცესში და ზრუნავენ ისეთი ტიპის რესურსების შერჩევაზე, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება მასალის სიღრმისეულ წვდომაში, ლოგიკურ კავშირში იქნება სასწავლო მიზნებთან და აქტივობებთან. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა საგნობრივ კურიკულუმში ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია შესაბამისი სასწავლო რესურსები, მათ შორის ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. კურიკულუმებში განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ ათვისებას. გარდა ამისა, პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა მატერიალური რესურსიც, რაც სწავლა-სწავლების პროცესს მეტად მრავალფეროვანს ხდის. ინდიკატორი შესაბამისობაშია

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. **რჩევა** სასურველია კათედრამ ორივე საგანში და სამივე საფეხურზე, სამომავლოდ შეარჩიოს უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი. მაგ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დამატებითი დამხმარე რესურსი ძალიან მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **აღნიშნული შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას კათედრა ხშირად იყენებს ონლაინ-რესურსებსაც, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და ხელი შეუწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე. გასაუბრებისას დადგინდა, რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. ასევე დადგინდა,რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე.

	რჩევა: საშუალო საფეხურზე,რესურსებში მითითებული დამხმარე,თუ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან მითითებული იყოს კონკრეტული გვერდი და თემა,რომელსაც მასწავლებელი იყენებს იმ კონკრეტული სამიზნე ცნებისთვის **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი სასწავლო რესურსებში სწავლის სწავლას სტრატეგია სწორად არის განსაზღვრული . მაგალითად კომპლექსური დავალება არის დასმული ასეთი კითხვები : რომელი ვებ-გვერდებით ისარგებლეთ ინფორმაციის მოძიებისას? იყო თუ არა საკმარისი ინფორმაცია ქართულ ვებ-გვერდებზე? დავალებაზე მუშაობისას თავად თუ შეიტანეთ რაიმე ინფორმაცია? ამ კითხვებზე საპასუხოდ მოსწავლემ უნდა შექმნას პრეზენტაცია, რაც რეფლექსიის კარგი მაგალითია და წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა. ინდიკატორი შესაბამისობაშია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები (მათემატიკა – თამაშის ბმულები; ქართული – გრაფიკული ორგანიზატორები, ვიდეო რესურსები), რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები. სკოლაში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური. ამასთან, კათედრა მუშაობს დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებით. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. **რჩევა:** სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში დანერგილია ინკლუზიური მიდგომები, რომელთა მიზანია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა დაწყებითი საფეხურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამები გეოგრაფიაში. მათში გამოყენებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ადაპტირებულია მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. პედაგოგები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს ითვალისწინებენ მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებები /დავალების იდეები, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას, როგორც დიფერენცირებული მიდგომის ინსტრუმენტი, მოხდეს მათი ადაპტაცია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად და გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმები ნაკლებად

	სთავაზობს მოსწავლეებს თემაში ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე / ცნებებზე მორგებული დავალებების არჩევანს. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, კონკრეტული სასწავლო თემის კონტექსტში უზრუნველყოს ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე / ცნებებზე მორგებული დავალებების მრავალფეროვნება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობას და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ძირითად სტრატეგიებს. ისინი იცნობენ დავალებების მოდიფიცირების სხვადასხვა გზებს და ცდილობენ სასწავლო აქტივობების ადაპტირებას მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამივე საფეხურზე უმეტესად დასტურდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა შეძლეს არაფორმალური განათლების მიმართულებით სასწავლო აქტივობებზე მსჯელობა. ამასთან, წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს. **რჩევა**

	სასურველია, სამომავლოდ, კათედრამ შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობები და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე დანერგილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმებიც. დოკუმენტურად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას . თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკის კურიკულუმი, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა.

	სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ავტორიზაციისთვის წარმოდგელი საგნის კურუკულუმში სამიზნე ცნებები თანხვედრაშია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან არის კავშირში , ცნებების გააზრების, გაფართოების და დამკვიდრების პროცესში გამოყენებულია სწორი სტრატეგია. ასაკის , წინარე ცოდნის და გამოცდილების კონტექსტის გათვალისწინებით არის აგებული. შედგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს ძირითადი ფუნქციური უნარების განვითარებას - რაც დიგერენციაციის კარგი მაგალითია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი.სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას.

	რჩევა: სასურველია, თუ დაწყებითის კათედრა კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლის შეფასებისთვის წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარებს და მოსწავლის მიერ საკითხის გააზრებას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. **რჩევა**: სასურველია შეფასების რუბრიკები გაიწეროს კონკრეტული დავალებისთვის და ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე; **რჩევა:** სასურველია საგნობრივი სადიაგნოსტიკო წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო დონის შედეგებთან მიმართებით, განმავითარებელი შეფასება კი აკვირდება მისი განვითარების დინამიკას. დაწყებით საფეხურზე, საგნებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, სკოლა აქტიურად იყენებენ კომენტარს, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს, ხოლო „ჩვენ საქართველოში“ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებასთან მიმართებით აფასებს მოსწავლის შედეგებს. გეოგრაფიაში საბაზო

	და საშუალო საფეხურზე შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე არის ორიენტირებული, განმავითარებელი შეფასება კი სოლო ტაქსონომიას ეფუძნება, რომელიც ასევე ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სამოქალაქო განათლების კურიკულუმებში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზეა დაფუძნებული. გარდა ამისა, პედაგოგები იყენებენ ზოგად, ცოდნისა და უნარ-ჩვევების აღმწერ, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების რუბრიკებს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია, სკოლას არ აქვს უნიფიცირებული მიდგომა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც ადგენს შეფასების პროცედურების და ინსტრუმენტების შესაბამისობას სასკოლო კურიკულუმთან. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ ჩამოაყალიბოს უნიფიცირებული მიდგომა საზოგადოებრივ მეცნიერებებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს მრავალმხრივ შეფასების მიდგომებს, მათ შორის განმსაზღვრელ და განმავითარებელ კომპონენტებს. წარმოდგენილი რუბრიკები მოიცავს როგორც ზოგად შეფასებით კრიტერიუმებს, ისე კონკრეტულ დავალებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის სისტემურ შეფასებას. კათედრის წევრებთან გასაუბრებების და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების სისტემაში შეფასების რუბრიკაში საფეხურის სამიზნე ცნებების სრულად ასახვა შესაძლოა უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს.

	რჩევა: სამივე საფეხურზე, მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უმჯობესია მკაფიოდ იყოს ნაჩვენები საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, რაც სრულად აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს სასწავლო გეგმის საგნობრივ შედეგებთან მიმართებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ჩამოყალიბებულია მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების ინსტურმენტებსა და მეთოდებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აგებულია გრძელვადიანი მიზნებისა და შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით. გარდა ამისა, წარმოდგენილია პრეზენტაციის, ანალიტიკური ესეს, არგუმენტირებული ესსეს, მხატვრული ტექსტის ანალიზის და სხვადასხვა ტიპის ტექსტის შეფასების რუბრიკები, ამ თვალსაზრისით კათედრამ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსი გააზიარა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნება თუ სახელმწიფო ენის სწავლების დროს კათედრა შექმნის და გამოიყენებს ისეთ რუბრიკებს, რომლებშიც შეფასების კრიტერუმები გაწერილი იქნება შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეესაბამება

	მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები გაიწეროს კონკრეტული დავალებებისათვის სამიზნე/ქვეცნებებთან მიმართებაში და ორიენტირებული იყოს მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაზე; ასევე სასურველია თითოეულ საფეხურზე კათედრამ შეიმუშაოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებს კომუნიკაცია აქვთ, უკუკავშირის სახით, როგორც მოსწავლეებთან ისე მათ მშობლებთანაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებში შეფასების რუბრიკები გრძელვადიანი მიზნების მიღწევას აფასებს . წარმოდგრნილი დავალებების შეფასების რუბრიკება, რელევანტურია, სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას.

	რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასების კათედრამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ კათედრა შეიმუშავებს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 25-26
- ფოლდერი -ესთეტიკა
- ბრძანება N-2-245; ისგ ჯგუფის შექმნა
- ბრძ. N-2-20 (13.02.25) ვერიფიკ. წესი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნობრივი კურიკულუმები;
- არჩევითი საგნის ქიმიური ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები ყველა საფეხურის და საგნების მიხედვით;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შაბლონი და ნიმუში;
- 2011 წლის ლაბორატორიის კომპლექტის მიღება–ჩაბარების აქტი;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;
- დაწყებითი კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

- დაწყებითი განათლების კათედრის სხდომების ოქმები;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმები;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ტექნოლოგიები:

- https://docs.google.com/document/d/15FGNhkW6_x6bpN4dZskQnDEdDU8AFzNEjPjR1M-56Q8/edit?usp=sharing
- https://docs.google.com/document/d/1v8tLJQpOFndMbnCGXQvB-0r-S1OLFUxsWxKfocx8Ih8/edit?usp=sharing
- https://docs.google.com/document/d/13P7RJqhjDEHdmOmG70NNKqA-ZRXejaHET-WpiLZ_NM0/edit?usp=sharing
- https://docs.google.com/document/d/11PdrMv2cHPL6v7_dvp3kA_Gu2Jsn0AWHx3ZTQEA_-s8/edit?usp=sharing
- https://docs.google.com/document/d/1V9rPkgrHBJjZz_EyKwls0u4hmKVK2VYTw3HL6dXEQ2w/edit?usp=sharing

უცხოური ენები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლის სამოქმედო გეგმები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; სხდომის ოქმები; პროექტები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; სადამრიგებლო პროგრამები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში.
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 17 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025 -2026 წწ.
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმები 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრი.
- გაკვეთილზე დაკვირვების / ურთიერთდასწრების სქემები (საზოგადოებრივი მეცნიერებები);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, 2025 -2026 სასწ.წ. (დაწყებითი საფეხური)

- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება და ისგ ჯგუფის ოქმი (2025 წ.).
- ინკლუზიური / დიფერენცირებული მიდგომების ამსახველი დავალებები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

სახელმწიფო ენა

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის ბრძანება და ოქმი
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს საგანთა შორის კავშირსა და ინტეგრირებულ დავალებებზე. საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომებზე ხდება მასწავლებლებს შორის აზრთა ურთიერთგაზიარება, კათედრაზე არსებობს ურთიერთდასწრების გამოცდილება. ასევე, არსებობს მზაობა მოსწავლეთა მომზადების ეროვნულ და კერძო ოლიმპიადებისთვის. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში განხორციელდეს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და რეალური ექსპერიმენტების ჩატარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგებით ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის მიხედვით. პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში ახორციელებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ დავალებებს, გეგმავენ აქტივობებს, აკეთებენ მათ მოდიფიცირებას საჭიროების შესაბამისად, მოსწავლეს აძლევენ უკუკავშირს განმავითარებელი შეფასების სახით და ა.შ. მოსწავლეები დავალებების

	შესაბამისად ქმნიან სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტებს. საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში ტარდება შემაჯამებელი დავალებები. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტების განხორციელებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმების მიხედვით, პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში, ერთობლივად გეგმავენ განსახორციელებელ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, სკოლას აქვს პედაგოგთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სადაც ხდება საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდაკვირვება და კოლეგებისაგან უკუკავშირის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებას, რომელიც კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და სასწავლო ამოცანების ეფექტიან მიღწევას. შესაბამისობა ჩანს არა მხოლოდ დოკუმენტური მასალებით, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაში, რაც გასაუბრებების დროსაც დადასტურდა. გასაუბრებისას აგრეთვე გამოიკვეთა მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, მათ ინტერესებისა და მშობელთა ჩართულობის გათვალისწინება სხვადასხვა სასწავლო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. სკოლაში დანერგილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აქტივობების მიზანმიმართულ მონიტორინგს და მოსწავლეთა პროგრესის რეალურ დროის მიხედვით შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების ჭრილში. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ აქტივობებზეც. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველია, თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტირუება არაფორმალური განათების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, საგანთაშორის ინტეგრაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესი ისეა აგებული, რომ ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, რასაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრება ამა თუ იმ შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია. შერჩეულია კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები, თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ცოდნის კონსტრუირების 3-ე კატეგორიის გამოყენების დასადასტურებლად შეიძლება განვიხილოთ მე- 3 კლასის კომპლექსური დავალება ორდონიანი თამაშის შექმნა პროგრამა Scratch-ში, სადაც გამოყენებული იქნება ნასწავლი ყველა კოდი,მიმართულება - კომპიუტერული ტექნოლოგიები, სამიზნე ცნება - პროგრამული კოდი (ალგორითმი), ქვეცნება: ალგორითმი,ციკლი,მოვლენები საკითხი - ვიზუალური პროგრამირების გარემოში (მაგ.: Scratch) წინასწარ შემუშავებული ალგორითმის მიხედვით მარტივი ანიმაციის შექმნა- ესგ სტანდარტის შედეგი კომპ. ტექ. დაწყ. 3. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლემ უნდა იცოდეს პროგრამული კოდის არსი, ალგორითმი, ვიზუალური პროგრამირების გარემო და ელემენტები , შეძლოს შექმნას მოვლენა და მოვლენეთა ციკლი (სასრული, უსასრულო),იგივე კომპლექსურ დავალებაში ნათლად ჩანს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და კავშირები: წინარე ცოდნა, ცხოვრებისეული მაგალითები, ახალი ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

	რჩევა: სასურველია მოეწყოს მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს მხარდაჭერას. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რის მიხედვით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს და უმარტივებს მოსწავლეებს სკოლაში ინტეგრირებას. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური და ინდივიდუალური პრობლემების გადასაჭრელად აქტიურად მუშაობს ისგ ჯგუფი, რომელთაც შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივობები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ- მატერიალური მასალით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის მოდიფიცირება. სკოლა აქტიურად ახორციელებს მშობლებთან ელექტრონული კითხვარის გაგზავნას და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებების მეტად დადგენას. ამრიგად, სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა. საბუნებისმეტყველო საგნებში არჩეული აქვთ შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მიერ შემოთავაზებული შედეგებსა და მათ შესაბამის ინდიკატორებთან.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

	რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი და კრიტერიუმების მკაფიო ფორმულირება, რაც გააძლიერებს შეფასების ობიექტურობას და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას საგნების მიხედვით, შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია, რომ მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და ობიექტურობა. შეფასების რუბრიკების შედგენის დროს პედაგოგები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ საგნობრივი სტანდარტით მისაღწევ შედეგებს და თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. მაგალითად, X კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალება „ადამიანის და მოქალაქის უფლებები“, რომელსაც თან ახლავს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მოსწავლეს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიღწეული შედეგის მიხედვით აფასებს; ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (სოლო ტაქსონომია), რომელიც სამიზნე ცნებაზე არის ორიენტირებული. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით შეფასების პროცესის შემოწმება მოიცავს შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის, გარემოს შესაბამისობის, მტკიცებულებათა ობიექტურობის, გამოყენებული მასალების ადეკვატურობის შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაციის დასკვნის საფუძველზე უნდა მოხდეს სკოლის პედაგოგიური საბჭოსთვის რეკომენდაციების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს სისტემატურ შეფასების მიდგომებს, რომლებიც მოიცავს განმავითარებელ, განსაზღვრელ და შემაჯამებელ შეფასებას. წარმოდგენილი

	რუბრიკები და შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის შესაბამისობას ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებთან. შეფასების სისტემა მიზნობრივად აერთიანებს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს სამართლიანად და მკაფიოდ ასახონ მოსწავლეების მიღწევები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ სამივე საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვენბა) წამოადგინა შეფასების რუბრიკები, სადაც ნაწილობრივ იკვეთება შეფასების კრიტერიუმები. **რჩევა** მნიშვნელოვანია, სამომავლოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგნების შეფასების რუბრიკებში, სამივე საფეხურზე, უფრო თვალნათლივ, დეტალურად იყოს განსაზრღვრული თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათლელი იყოს შეფასების კავშირი საფეხურის შედეგებთან და საგნობრივ კურიკულუმში წამოდგენილ სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკა, რომლებშიც გაწერილი კრიტერიუმები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს ძალიან კონკრეტული და გასაგები, რათა მოსწავლემ იცოდეს თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს იმის რესურსი, რომ მოამზადოს და პრაქტიკაში გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	კათედრა სამივე საფეხურზე იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, წარმოადგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია კრიტერიუმები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს კონკრეტული და გასაგები, რათა მოსწავლემ იცოდეს კონკრეტულ საკითხში მისი მიღწევის დონე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს იმის ცოდნა, რომ მოამზადოს და პრაქტიკაში გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა სრულად იცავს პრინციპებს. კრიტერიუმები რელევანტური და რუბრიკები დავალებების შესაბამისია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 თებერვლის ბრძ. N2-20 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცედურები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რის მიხედვით აქტიურად ხორციელდება კათედრებზე ურთიერთდასწრებები და შესაბამისი რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით მასალები შენახული და დაცულია სკოლის არქივში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფოლდერი-ესთეტიკა

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; სხდომის ოქმები; პროექტები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; სადამრიგებლო პროგრამები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი #1 და დაწყებითების კათედრის ოქმი #2 ურთიერთდასწრების შესახებ;
- გაკვეთილზე დაკვირვების სქემა;
- ბრძანება N2-20 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ბრძანება N-1კ-01 სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების შესახებ;
- მშობელან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მშობლების შევსებული კითხვარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 17 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025 -2026 წწ.
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმები (2025 -2026 სასწ.წ. I სემესტრი) .
- გაკვეთილზე დაკვირვების / ურთიერთდასწრების სქემები (საზოგადოებრივი მეცნიერებები);
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;

- ინკლუზიური / დიფერენცირებული მიდგომების ამსახველი დავალებები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- სამოქალაქო განათლების სასწავლო პროექტები;

სახელმწიფო ენა

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის ბრძანება და ოქმი;
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შერჩეულია მასწავლებლების მიერ, რესურსები გაზიარებულია მასწავლებლებს შორის. სამივე საფეხურზე ძირითადი რესურსის სახით გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები – ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო ინტერნეტ–რესურსები მოწოდებულია ლინკის სახით. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში სახელმძღვანელო მითითებული იყოს სრულყოფილად, დასახელების, ავტორების, გამომცემლობების, გამოცემის წლის მითითებით. ბიოლოგიის მე–12 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს დამხმარე მასალა.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. ძირითად რესურსებს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე მასალები არის ინტერნეტრესურსები, რუკები, ვიდეო-ფოტო მასალა, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურა და ა.შ. წარმოდგენილ შემოქმედებითი დავალების ნიმუშებში მითითებული არის სასწავლო რესურსები, რომელთა დახმარებითაც უნდა მოხდეს დავალების მიზნის მიღწევა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმი ადასტურებს რომ კათედრის წევრები აანალიზებენ, გამოიწვია თუ არა დამხმარე რესურსებმა მოსწავლის ინტერესი, გაზარდა თუ არა მათი ჩართულობის ხარისხი და მოტივაცია, შეუწყო თუ არა ხელი სასწავლო შედეგების მიღწევას და სხვა. პედაგოგთა ურთიერთდაკვირვების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ კოლეგები აკვირდებიან გაკვეთილის მიზნებთან რესურსების შესაბამისობას და მათი მრავალფეროვნებას, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ უკუკავშირს. პედაგოგები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად აკეთებენ რესურსების ადაპტაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში საგნის მასწავლებლის მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი ისე დამხმარე რესურსები, რომლებიც თანხვედრაშია სტანდარტით გათვალისწინებულ თემებთან, ცნებებთან და შემოქმედებით დავალებებთან. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად დამხმარე რესურსებად ძირითადად წარმოდგენილია ონლაინ რესურები. ეს ყველაფერი ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს ეროვნული სასწვალო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. **რჩევა** სასურველია კათედრამ სამომავლოდ შეარჩიოს უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი. მაგ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დამატებითი დამხმარე რესურსი ძალიან მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს ,ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე. დადგინდა რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის.ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებოს. მასწავლებელი იყენებს რელევანტურ დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმში დასტურდება კათედრის პედაგოგების მიერ დამხმარე რესურსის ვალიდაციის განხილვის ფაქტი, იმსჯელეს ვალიდაციის სქემაზე და გადაწყვიტეს ინდივიდუალურად მოახდინონ დამატებითი რესურსების შეფასება ერთიანი სქემის მიხედვით. **რჩევა**: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლას შერჩეული აქვს სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსები. ესენია: რუკები, პლაკატები, დამხმარე ლიტერატურა, ვიდეომასალები, სხვადასხვა ტიპის ინტერნეტრესურსები და სხვა. დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე. წარმოდგენილი ოქმის მიხედვით (12.09.2025), კათედრის წევრები შეთანხმდნენ დამხმარე რესურსების

	ვალიდაციის მიზნით შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებაზე: სასწავლო რესურსების შინაარსობრივი გამართულობა, შესაბამისობა მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებთან, უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სანდოობა; შერჩეული რესურსები არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ და დისკრედიტაციულ ელემენტებს. აღნიშნული ოქმის მიხედვით. თითოეულმა პედაგოგმა დამხმარე რესურსების ვალიდაციის დროს უნდა იხელმძღვანელოს კათედრაზე განხილული კრიტერიუმების შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია სკოლამ, შეიმუშაოს და დაამტკიცოს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი, რომლის საფუძველზეც (განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით) მოხდება საზოგადოებრივ მეცნიერებებში დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლა სწავლების ეფექტურობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს, რომელთა ვალიდაციის საკითხი განხილულია კათედრის სხდომაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წამოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება, მატერ. რესურს. სარგებლობის წესი. სკოლა უზრუნვეყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის საინტერესოდ, ხარისხიანად, ეფექტიანად, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვის მიზნით სკოლა

	იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც ასევე დასტურდება კათედრის სხდომის ოქმითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორია შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	დამხმარე რესურების ვალიდაციის წესი სკოლას შემუშავებული აქვს, რის მიხედვით მასწავლებლები ახდნენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება დაწყებითი კათედრის ოქმებში . ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო რესურსებით, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული რესურსების სახით. ელექტრონული რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. სკოლას ამ დროისთვის აქვს მწირი ლაბორატორიული რესურსები. კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებს იმ რესურსს, რისი მოძიებაც შესაძლებელია შემორჩენილი რესურსებიდან და ყოფით პირობებში. სკოლა დაგეგმილი აქვს ლაბორატორიის დამატებით ტექნიკური გაძლიერება და რესურსების ეტაპობრივ განახლება, რაც გაწერილია შესაბამისობის გეგმით ვადაში (09/03/2026- 30/04/2026 წ.) და უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო წლის დასრულებამდე. **რჩევა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლას იყენებს მცირე ფართს ლაბორატორიული ინვენტარის და რესურსებისთვის. თუმცა, ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით სკოლამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, აქვს წერილობითი მიმართვა შესაბამის სტრუქტურებთან და შესაბამისობის გეგმით (09/03/2026-30/04/2026 წ.) გათვალისწინებულია ლაბორატორიული რესურსების განახლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმების განხორციელების პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ეყრდნობა გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. მატერიალური რესურსების სახით სკოლას აქვს რუკები, თემატური პლაკატები, ისტორიული ატლასები, თვალსაჩინოებები და სხვა. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკის განკარგულებაში არსებული წიგნადი ფონდით. სკოლის

	„მატერიალური რესურსების სარგებლობის წესის“ მიხედვით თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში, ციფრული განვითარების გეგმაში გაწერილია საგანმანათლო რესურები, ციფრული ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას იძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა სასწავლო პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური რესურსების (გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური პოსტერები, ყველა კლასისთვის განკუთვნილი საკლასო სივრცეები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია), ისე კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეული ელექტრონული რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	მატერიალური რესურსი საკმარისია, ასევე სკოლას აქვს სტემ -ლაბორატორია და კლუბი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. თუმცა ორ მასწავლებელს, რომელთაც დაწყებითი საგნების საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვთ ასწავლიან მე და საზოგადოებასა და სპორტს. სკოლის დირექტორის განმარტებით ვერ მოხერხდა შესაბამისი კადრების აყვანა, სკოლის მცირეკონტიგენტიანი რაოდენობისა და მცირე საათების გამო, თუმცა ვაკანსიის გამოცხადება კვლავ მოხდება, ასევე შესაბამისი მასწავლებელებიც აპირებენ აღნიშნული საგნის გამოცდებზე გასვლას. სკოლაში სულ არის 27 პედაგოგი ამათგან 1 მენტორი 2 წამყვანი, 24 უფროსი, მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. სკოლაში არსებობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ტექნიკურ- მატერიალური

ბაზით, სადაც უფროსი სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტები საგნის მასწავლებელთან ერთად ახდენენ სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო მხარდაჭერასა და რესურსების მიზნობრივად გამოყენებას. სკოლა უზრუნველყობს მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ლაბორატორიით ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაში. სკოლაში ფუნქციონირებს STEM კლუბი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N-2-26 (28.02.25) ბიბლიოთეკის დებულება
- ბრძანება N-2-27 (28.02.25) მატერ. რესურს. სარგებლობის წესი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნობრივი კურიკულუმები;
- არჩევითი საგნის ქიმიური ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები ყველა საფეხურის და საგნების მიხედვით;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შაბლონი და ნიმუში;
- 2011 წლის ლაბორატორიის კომპლექტის მიღება–ჩაბარების აქტი;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;
- დაწყებითი კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- დაწყებითი განათლების კათედრის სხდომების ოქმები;

- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმები;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; სხდომის ოქმები; პროექტები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; სადამრიგებლო პროგრამები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში.
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 17 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025 -2026 წწ.
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმები (2025 -2026 სასწ.წ. I სემესტრი) .
- გაკვეთილზე დაკვირვების / ურთიერთდასწრების სქემები (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
- ინკლუზიური / დიფერენცირებული მიდგომების ამსახველი დავალებები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, 2025-2025 სასწ.წ. (დაწყებითი საფეხური);
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი საზოგადოებრივ მეცნიერებებში.
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;

სახელმწიფო ენა

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის ბრძანება და ოქმი
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი

- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

2024 წლის 2 სექტემბრის ბრძ. N-1კ-29/1 შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით, კათედრების ანგარიშებით, მშობლების გამოკითხვით (კითხვარების შევსებით). აღნიშნულ პროცესში ასევე ჩართული არის ისგ ჯგუფის წევრები. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით ახდენს პრობლემების გამოკვეთას, საჭიროებების დადგენას. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ერთის მხრივ კათედრებზე ურთიერთდასწრებები და გამოცდილების გაზიარებით, ასევე მშობლების ჩართულობით რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომლებიც პერიოდულად ავსებენ კითხვარებს და უზიარებენ სკოლას. რაც საბოლოო ჯამში ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის ოქმები გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შესახებ;
- გაკვეთილზე დაკვირვების სქემა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ბრძანება N-1კ-01 სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების შესახებ;
- მშობელან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მშობლების შევსებული კითხვარები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ერთიანი, სისტემური მიდგომით და ჰოლისტურად. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტებს (კედლის გაზეთები, პოსტერები, კომიქსები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, რაც მათთან გასუბრების პროცესში გამოიკვეთა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, კათედრებზე აქტიურად ხორციელდება ურთიერთდასწრებები, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. ასევე მშობლებს საშუალება აქვთ შეავსონ კითხვარი და გააცნონ სკოლას თავიანთი მოსაზრებები მათი შვილის საჭიროებებზე. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი და მოსწავლეთა შეფასება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პროექტები და სხვ. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება და უკუკავშირის გაცემა, რომელიც აჩვენებს

მოსწავლეებში სააზროვნო უნარებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარებას. ასევე მშობლების მიერ ხორციელდება კითხვარების შევსება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებასთან ერთად მის პიროვნულ განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, გარემო. რაც საგნობრივი კომპეტენციის შეფასების პარალელურად ახდენს მოსწავლის პიროვნული განვითარების შესწავლას, რასაც ასევე ხელს უწყობს მშობლების მიერ შევსებული კითხვარები, რომელიც სკოლას უზიარდება. ამრიგად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- მშობლის კითხვარები.შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესი. სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობასა და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებს, მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მიხედვით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას/რევიზიას რაც სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესი და სასკოლო საზოგადოების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებსა და აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი ბუნების დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ქმნიან/ანახლებენ საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 20.03.2026 წ.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: